

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 29

08. 11.2018 წ.

2018 წლის 8 ნოემბერს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 154 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

1. მოისმინეს ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ბიუჯეტის ცვლილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გამო საჭირო გახდა 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილება. ცვლილების თანახმად მიმდინარე წლის შემოსავალი გაიზარდა 325 276 ლარით. აქედან 131 309 ლარი - სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გამო, ხოლო 193 967 ლარი შეადგინა კრედიტებიდან შემოსულმა თანხამ. სულ 5 844 319 ლარი. გაზრდილი თანხიდან 4 248 ლარი დაემატა ქონების გადასახადის მუხლს, 45 761 ლარი - მოგების გადასახადის მუხლს, 188 965 - ლარი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 86 302 ლარი - შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლს.

ასევე განხორციელდა ცვლილება ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

- 200 000 ლარი - გადატანილ იქნა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;
- 10 000 ლარი - დამპირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში;
- 100 000 ლარი - მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შექმნა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯის მუხლში.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ტ. კვიციანმა

დაადგინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. მოისმინეს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ისტორიის ამსახველ „ოქროს წიგნის“ შექმნის მიმდინარეობის შესახებ. მოხსენებით წარსდგნენ ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, პროფესორი რ. იმედაძე და პროფესორი ე. გვენეტაძე. მათ წარმოადგინეს მასალები, დოკუმენტები. შეთანხმდნენ ელ. ვერსიის მომზადების შემდგომ ფაკულტეტზე მოეწყოს ჩვენება და განხილვა. გადაწყვეტილება მიიღეს ერთხმად. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

3. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის მისალოცი სიტყვა. ბ-ნ დავითმა ისაუბრა ქ-ნ ლია სუთიძისა და ბ-ნ გურამ სოსელიას ღვაწლსა და დამსახურებაზე, მიულოცა 80 წლის იუბილე და გადასცა ყვავილები.

4. მოისმინეს პროფესორ ე. ქრისტესიაშვილის, გ. ყალაბეგიშვილის ინფორმაციები საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. მათ საბჭოს წარუდგინეს თავიანთი ანგარიში საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

5. მოისმინეს: პროფესორ რ. ჟღენტის ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსადამთავრებული, გამოჩენილი მეცნიერების და პედაგოგების პორტრეტების გამოფენა-განლაგების შესახებ. მან წარმოადგინა სამშენებლო ფაკულტეტის გამოჩენილ მეცნიერთა და პედაგოგთა სია, რომელთა პორტრეტებიც გამოეფინება და განლაგდება აუდიტორიებსა და დერეფნებში. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: გ. ბიჭიაშვილმა, ლ. ბალანჩივაძემ.

წარმოდგენილ ინფორმაციას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

6. მოისმინეს: სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების პრეზიდენტის ი. სვანიძის მოხსენება საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებისა და სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ერთობლივი საქმიანობის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ლ. კახიანმა.

7. მოისმინეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის გერბისა და დროშის ესკიზური პროექტის წარდგენა-დამტკიცების შესახებ თ. კელაპტრიშვილის და დ. სამხარაძის ერთობლივი მოხსენება. მათ წარმოადგინეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის გერბისა და დროშის ესკიზური პროექტი. ნიმუშები ერთხმად მიიღეს. დეკანმა, პროფესორმა დ. გურგენიძემ ფაკულტეტის მენეჯერს გ. გურეშიძეს დაავალა ფაკულტეტის ჰიმნის შექმნაზე მუშაობა.

დაადგინეს: დროებით დამტკიცდეს გერბის და დროშის ნიმუშები და კონკურსით შერჩევის შემდეგ მიღებულ იქნას საბოლოო ვარიანტი.

8. მოისმინეს: პროფესორ როინ იმედაძის ინფორმაცია ფაკულტეტზე მოქმედ კომისიებში ცვლილებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ კომისიაში მოხდა ცვლილება. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

9. მიმდინარე საკითხებში მოისმინეს:

1. ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მან საბჭოს წარუდგინა ქვემოთ ჩამოთვლილი იმ პროფესორებისა და სპეციალისტების სია, რომელთაც ესაჭიროებათ ფინანსური დახმარებები:

1. მამული გრძელიშვილი - (105 დეპ.) პროფესორი;

2. ია მშვიდლობაძე - (102 დეპ.) ასოც. პროფესორი;

3. ამირან ბუქსიანიძე - (101 დეპ.) პროფესორი;

4. თენგიზ პაკუაშვილი - (ფაკულტეტშიორისი) პროფესორი;

5. ქეთევან შავიძე (104 დეპ.) სპეციალისტი;

6.ნინო ნარიმანიძე - (105 დეპ.) სპეციალისტი;

7.ქეთევან ლომინაშვილი დამლაგებელი.

დაადგინეს: ბიუჯეტის დამქირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან გამოეყოთ თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით ზემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2.მოისმინეს ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია ასოცირებული პროფესორის ლამარა ავალიშვილის სახელმძღვანელოს „რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (მოკლე კურსი მაგისტრებისათვის) დაბეჭდვის დაფინანსების (ავტორი ასოც. პროფესორი ლამარა ავალიშვილი) შესახებ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ლამარა ავალიშვილის სახელმძღვანელოს „რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (მოკლე კურსი მაგისტრებისათვის) გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან“ 365 (სამასსამოცდახუთი) ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

3.მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა ქვემოთ ჩამოთვლილი სტუდენტების სია, რომელთაც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის გათვალისწინებით, ჩათვალთ გადახდილად სწავლის საფასური შემდეგი ოდენობით:

№ გვარი, სახელი სტატუსი	პირადი №	კურსი	ჯგუფი	დაფინანსების თანხა (ლარი)
1.ქირია მანონი	62502008087	4	1553 200	დევენილი
2.კაკუბერი ალექსანდრე	61001043733	1	1800 200	დევენილი
3. ფირანიშვილი გიორგი	01008057496	2	1700 450	
(კრედიტების)	სოციალურად დაუცველი			
4.ლაცაბიძე ირაკლი	38001045300	1	1802 1125	სოციალურად დაუცველი
5. ხითაროვი მანანა	01027090401	3	1690 1125	სოციალურად დაუცველი
6.კაკაჩია ბექა	01027079740	2	1716 1125	სოციალურად დაუცველი
7.აბულაძე ბექა	01001084526	2	1780 1125	სოციალურად დაუცველი

8.ნოზაძე ლიკა	01024077924	2	121771	1125
9.ბუკია ზაალ	01009008062	3	131502	1125
10.ჩხიკვიშვილი ლაშა	01017041221	5	1455	2250
11.მამულაშვილი მიხეილ	01001091166	1	121831	500 10350

დაადგინეს: ზემოთ ჩამოთვლილ სტუდენტებს “უმადლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლი გათვალისწინებით, ჩათვალოთ გადახდილად სწავლის საფასური.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

4.მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტზე თარჯიმნის მოწვევის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საიტის ინგლისურენოვანი ვერსიისათვის, სხვადასხვა დოკუმენტების, ხარისხის მართვის სამსახურში პროგრამების აკრედიტიზაციისათვის საჭიროა ფაკულტეტზე თარჯიმნის მოწვევა.

დაადგინეს: ფაკულტეტზე მოწვეულ იქნას თარჯიმანი მეგი ფალავანდიშვილი.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

5.მოისმინეს ხარისხის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის თხოვნა: მოწვეულ პროფესორებს მ. ყავრელიშვილს და ი. დათიაშვილს 2019 წლის 1 ოქტომბრამდე გაუგრძელდეთ ხელშეკრულება.

დაადგინეს: მოწვეულ პროფესორებს მ. ყავრელიშვილს და ი. დათიაშვილს 2019 წლის 1 ოქტომბრამდე გაუგრძელდეთ ხელშეკრულება.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე/

